გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 31
(11 488)

24 – 26 აპრილი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქართველო — ისრაელი





კვლავ ასე ოსტატურად ურტყამს ბურთს გიორგი გეგეჭკორი

5

## მეგობრები, მეგობრული ქვეყნიდან

თითქმის ოთხსაათიანი დაგვიანებით ჩამოფრინდა თბილისში ისრაელის ნაკრები. გუნდი „მეტეხში“ დაბინავდა, ჟურნალისტთა კორპუსი კი სასტუმრო „სიმპათიაში“. 60 კაციან დელეგაციაში 16 ფეხბურთელია. დღევანდელ მატჩამდე მეტოქეებმა გუშინ ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშეს.

საქართველოს ნაკრები პირველი ეწვია სტადიონს და ერთსაათიანი ვარჯიშის შემდეგ სწრაფად გაეშურა დასასვენებლად. 17 საათზე მასპინძლები სტუმრებმა შეცვალეს. ებრაელებმაც მსუბუქად ივარჯიშეს, რის შემდეგაც ნაკრების მწვრთნელები სახელდახელო პრესკონფერენციაზე შეიკრიბნენ.



მიოლერ ნილსენი

***მიოლერ ნილსენი:*** „ისრაელის ჩემპიონატი და თასის გათამაშება საკმაოდ დაძაბულია, უცხოეთში მოთამაშეებსაც მძიმე მატჩები აქვთ, ამიტომ სრულყოფილი შემადგენლობის შეკრება ძნელია, აქაც 16 ფეხბურთელით ამიტომ ჩამოვედით. ნაკრების ორი ფეხბურთელი ტრავმირებულია, რამდენიმეს სავიზო პრობლემები შეექმნა, აგერ ვარჯიშისას მეკარე დავიდოვიჩმა ფეხი იტკინა, ვიმედოვნებ, მატჩამდე მომჯობინდება. მოხარული ვარ ქართველებთან შეხვედრით, შარშან კარგი თამაში გვქონდა თქვენს გუნდთან და ალბათ ახლაც ასე იქნება. ისრაელის ნაკრებში ერთი წელია ვმუშაობ, უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი დანიაში მიღწეული შედეგები რომ განმეორებულიყო. მაგრამ მუშაობას თავისი სირთულეები ახლავს. უპირველესი შემადგენლობისა და თამაშის სტაბილურობაა“.

ებრაელთა დანიელ მწვრთნელს ბევრი არ ულაპარაკია, ჯერი შინაურებზე მიდგა და ჟურნალისტებმაც და საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმაც ხანგრძლივად ისაუბრეს. ჩვენმა მწვრთნელებმა დღევანდელ მატჩს დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს და აღნიშნეს, რომ ისრაელის ნაკრები კარგი სპარინგ-პარტნიორი იქნება იტალიასთან და უნგრეთთან თამაშის წინ. შემდეგ ნაკრებში და მის ირგვლივ არსებულ

იხ. მე-4 გვ.

## გარდაქმნები სად ფერხდება და სად არა, პოლიტიკოსებსაც ვერ გაურკვევიათ, ჭიდაობის ფედერაციაში კი ეს პროცესი ნამდვილად აღმავლობის გზით მიდის

## ვაჟა ჩხაიძის საფეხბურთო ფილოსოფია

თავი წიგნიდან „მრეტები“

3



5

## ბავშვთა ფეხბურთი. ტურნირი თელეთში



ელდარ კურტანიძე ევროპის ჩემპიონია!

2



რობერტ ბაგოთანის ფოტო



## საქართველოს „უნივერსიადა-2001“ წარმატებით მიმდინარეობს. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი ხალისით ურიგებს მედლებს გამარჯვებულებს

## ქართველი პოლიტიკოს ფეხბურთელთა თავგადასავალი სოჭში

როგორც „ლელოს“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, სოჭში დსთ-ს ქვეყნების პოლიტიკოსთა საფეხბურთო გუნდების ტურნირზე საქართველოს პარლამენტისა და თბილისის საკრებულოს წევრთა ნაკრებიც გაემგზავრა. ჩვენები სოჭში ფოთიდან გემით ჩავიდნენ, გემი მწყობრიდან გამოვიდა და საქართველოს დელეგაცია უკან ვეღარ დაბრუნდა. ვიზის ვადა გუშინწინ ამოიწურა, რამაც ქართველ პოლიტიკოსებს დამატებითი პრობლემები შეუქმნა. შინ მათი დაბრუნების პრობლემა გუშინ და წუხელ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივ დონეზე წყდება.

## ხასიმ რახმანი — ლენოქს ლუისის მძლეველი!

8



3





ნიუ-იორკი — ტორონტო. ტორონტოელი ვინს კარტერი (მარცხნივ) ცდილობს გაარღვიოს მარკ ჯექსონის და მარკუს კემბის „ზღუდე“.

### ფეხბურთი. გაზეთის დაბეჭდვის წინ:

**იტალიის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დოპინგის მიღებაში მხილებულია „იუვენტუსის“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი ედგარ დევიდსი.**

**გუშინ,** „ბარსელონის“ მთავარი მწვრთნელი ლორენსო სერა ფერერი თანამდებობიდან დაითხოვეს. კლუბის დირექტორთა საბჭომ ასეთი გადაწყვეტილება სამსაათიანი ბჭობის შემდეგ მიიღო.

**ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა რუუდ ვან ნესტერლოიმ ხელი მოაწერა ხუთწლიან კონტრაქტს „მანჩესტერ იუნაიტედთან“, ტრანსფერი 18 მილიონ ფუნტ სტერლინგზე (27,34 მლ. დოლარი) გაფორმდა.**

საბერძნეთი. კალამატა — პანიონისი 2-1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 4 თვე დარჩა

SALT LAKE 2002
TM © 1997 SLOC 36 USC 380

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 9 თვე და 14 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.



## სამარანჩმა მემკვიდრე კანდიდატები დაასახელა

წლეულს სრულდება მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში სამარანჩის 21-წლიანი ეპოქა. 10 აპრილს ამოიწურა კანდიდატების წარდგენის ვადა. სამარანჩმა ლოზანაში, სოკის შტაბბინაში, ოფიციალურად გამოაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატთა სია. ესენი არიან: ანიტ დეფრანცი, რიჩარდ პაუნდი, უნ იონგ კიმი, პალ შმიდტი და ჟაკ როგე. მათგან ერთ-ერთს პრეზიდენტად 16 ივლისს, სოკის 112-ე სესიაზე, მოსკოვში აირჩევენ.

## სამარანჩის ღვაწლი „ოქროს საწმისით" დაფასდა

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ უცხოელი მოქალაქეებისათვის საქართველოს უმაღლესი ჯილდოთი — „ოქროს საწმისის" ორდენით დააჯილდოვა ***ხუან ანტონიო სამარანჩი.*** სოკის პრეზიდენტს ღვაწლი დაუფასეს ჩვენს ქვეყანაში სპორტის ოლიმპიური სახეობების განვითარებაში აქტიური მხარდაჭერისა და დახმარებისათვის.

სამარანჩს ორდენს გადასცემს სეოკ-ის დელეგაცია, რომელიც ლოზანაში 24 აპრილს გაემგზავრება. აღსანიშნავია, რომ უცხოელთაგან ასეთი მაღალი ჯილ[illegible] ბოლოს გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრიოდერს ჰიეკუთვნა.



## ქრისტეფორე ნინიაშვილი – 80

გასულ პარასკევს, ჩვენმა საზოგადოებრიობამ, ღირსეული პატივი მიაგო ჭიდაობა სამბოს გამოჩენილ სპეციალისტს, სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთ ფუძემდებელს საქართველოში, ჩვენი ქვეყნისა და სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს ქრისტეფორე ნინიაშვილს.

80 წლის ამაგდარ ადამიანს საიუბილეო თარიღი მიულოცეს მისმა აღზრდილებმა, კოლეგებმა, სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს ჭეშმარიტად ამ ღვაწლმოსილი პიროვნების პედაგოგიური ნიჭი და სამაგალითო ადამიანური თვისებები.

იუბილარმა გულითადი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მისი ამაგი ესოდენ დააფასა.

## მილოცვები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზაღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს, ცნობილ ვეტერან ხელბურთელს ***ზაზა დოლიძეს.***

* **

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზაღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურთან არსებული ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორს ***ელდარ ფარჯანაძეს.***

## საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის განცხადება

**საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის მოწვევის შესახებ, საინიციატივო ჯგუფის მიერ „ლელოს" 20 აპრილის ნომერში, გაკეთებული განცხადება სრული გაუგებრობაა.**

**საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია რეგისტრირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, დაფუძნებულია 1997 წელს, რეგისტრირებული იყო ჯერ იუსტიციის სამინისტროს მიერ, შემდეგ ქ. თბილისის მთაწმინდის რაისასამართლოს დადგენილებით.**

**ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით, აკრძალულია სხვა იურიდიული პირის, ამ შემთხვევაში, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის, სახელის გამოყენება.**

**რაც შეეხება საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის მორიგი ყრილობის მოწვევას, იგი დაგეგმილია და ჩატარების თარიღი გამოცხადდება.**

თავისუფალი ჭიდაობა | ევროპის ჩემპიონატი

# ყველა სინჯის მედალი ბუდაპეშტიდან

ევროპის ჩემპიონატზე, ბუდაპეშტში, საქართველოს დელეგაციის გამგზავრების წინ, ჩვენი ნაკრების ლიდერმა ელდარ კურტანიძემ განაცხადა, რომ ასეთ კარგ ფორმაში ოლიმპიადის დღეებშიც არ ყოფილა და იმედი გამოთქვა, ბუდაპეშტში უმაღლესი ჯილდოს მოპოვებას შეძლებდა. ასეთი თავდაჯერებული ეს სოხუმელი ფალავანი იშვიათად გვინახავს. როგორც ჩანს, შინაგანად წარმატების რწმენით იყო გამსჭვალული და ფალავანმა სიტყვა შეასრულა — კონტინენტის ჩემპიონის სახელი მოიპოვა 97 კგ წონით კატეგორიაში, თანაც — მესამედ. ფინალში მან რუსეთის მოქალაქე გიორგი გოგშელიძე დაამარცხა. აქვე დავძენთ, რომ 16 აპრილს ელდარი 29 წლისა გახდა. ცნობილია, რომ ადამიანში შინაგანი ძალები აღმავლობის პიკს, ბიორიტმების მიხედვით, მისი დაბადების თვეში აღწევს და თუ ამ პერიოდს ემთხვევა სპორტსმენის არენაზე გამოსვლა, წარმატება, მეტწილად, გარდუვალია. ასეთი დაკვირვება ადრე ჩაატარეს მეცნიერებმა, მათ შორის ვიქტორ სანეევზე და აღმოჩნდა, რომ, როცა საპასუხისმგებლო ასპარეზობა დაბადების თვეს ემთხვეოდა, მით უფრო დაბადების თარიღთან იყო მიახლოებული, მაღალი შედეგი თითქმის გარანტირებული იყო. ეს ფაქტი უნებლიედ გაგვახსენდა, როცა ელდარმა საკუთარ ძალებში რწმენა გამოთქვა.

ბუდაპეშტში წარმატებით იასპარეზა აგრეთვე თბილისელმა მძიმეწონოსანმა ალექსი მოდებაძემ, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს მედალი კი წილად ხვდა გორელ ოთარ თუშიშვილს (63 კგ).

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.



ელდარ კურტანიძე



ოთარ თუშიშვილი

# აჩუქეთ ბავშვებს სიხარული...

## ის, რაც თბილისის მერიის სპორტის, კლასგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურმა გააკეთა, ყველასთვის სამაგალითო უნდა იყოს

ქველმოქმედება თავისთავად დიდი მადლია, მით უფრო, თუ ზრუნვის ობიექტი ბავშვებია. სამწუხაროდ, უცხოელები უფრო მეტ დაინტერესებას იჩენენ მზრუნველობა მოკლებული ჩვენი მოზარდებისადმი, ვიდრე თვით საკუთარი ერის შვილები. მაგრამ, ბედნიერი გამონაკლისი მაინც არის და ის, რაც ამ დღეებში მოიმოქმედა თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურმა, სამაგალითო უნდა იყოს ყველასთვის.

ხსენებულმა საქალაქო სამსახურმა მასზე დაკისრებული სამივე ფუნქცია შემოქმედებითად შეუხამა ერთმანეთს და საბოლოო ჯამში მივიღეთ შინაარსიანი კომპლექსური ღონისძიება, რომელიც კიდევ უფრო შთამბეჭდავად დატვირთა და გაალამაზა ეკლესიური ცხოვრების რიტუალმა. ეს დაუვიწყარი დღე მშობლების ზრუნვას მოკლებულ და ობოლ ბავშვთა თბილისისა და წყნეთის სახლების აღსაზრდელებს აჩუქეს ორგანიზატორებმა. თავი ყველამ ერთად დედაქალაქის მერიის წინ მოიყარა. ღონისძიება, 240 მოზარდის მონაწილეობით, სააღდგომო დღესასწაულს მიეძღვნა. ბავშვებს მიესალმა ზემოხსენებული საქალაქო სამსახურის უფროსი დათო ჭელიძე და მისი მოადგილე გია ბალიაშვილი. აუწერელი იყო პატარების სიხარული, როცა მათ საჩუქრად გადასცეს უცხოური ფირმის სპორტული ფორმა და სასკოლო სპორტული ინვენტარი.

პროგრამა თბილისის ძველი უბნების გაცნობით დაიწყო, შემდეგ ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი და დედათა მონასტერი მოინახულეს. ცხადია, იყო გართობა-თამაშის მხიარული წუთებიც. ბავშვებით დატვირთულ ავტობუსებს ახლდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება და პირადად მისი დირექტორი დავით გველესიანი, რომელმაც ყველას დაამახსოვრა თავი გულთბილი ურთიერთობით.

— „ოცი წელიწადია, მსგავსი ღონისძიება არ ჩატარებულა, დიდი მადლობა ორგანიზატორებს" — თქვეს ბავშვთა დაწესებულებების ხელმძღვანელებმა. დავით ჭელიძემ კი განაცხადა, რომ ეს ღონისძიება ოფიციალურად შევა კალენდარში და ყოველწლიურად ჩატარდება.

**ნათია სხირტლაძე**







*ღონისძიების ორგანიზატორებს და მონაწილეებს ეს დღე არასოდეს დაავიწყდებათ!*



# მთავარი პრიზი გოგი თანდილაშვილის შეგირდებს ხვდათ

*ბავშვთა კალათბურთი*

ნორჩ კალათბურთელთა ტურნირების ჩატარების ტრადიცია ბოლო ხანებში ალორძინების გზას დაადგა, რაშიაც, უპირველეს ყოვლისა, დიდია ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელების დამსახურება. მათი შრომის წასახალისებლად აბაშის რაიონის გამგეობისა და სპორტკომიტეტის თაოსნობით სოფ. ზანის საშუალო სკოლის დარბაზში ჩატარდა 9 აპრილისადმი მიძღვნილი 1986-1988 წლებში დაბადებულ კალათბურთელთა ტურნირი, რომელშიც ბრწყინვალედ იასპარეზეს თბილისის 141-ე საშუალო სკოლის წარგზავნილებმა (მწვრთნელი გოგი თანდილაშვილი), რომელმაც უძლიერესის ტიტული და მთავარი პრიზი მოიპოვა. მეორე იყო აბაშის კოლეჯის, მესამე — სენაკის ნაკრები გუნდი.

ზემოხსენებულ ორგანიზატორთა გარდა, რჩეული გუნდები და მოთამაშეები ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა „ალორძინების" რაიონულმა ორგანიზაციამ.

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული თბილისის 141-ე საშუალო სკოლის გუნდი. I რიგში (მარცხნიდან): ირაკლი წიკლაური, დათო მგელაძე, ჯაბა ინდუაშვილი, გია მელიქიძე, თენგიზ მეტრეველი, დგანან (მარცხნიდან): გიორგი გალუსტაშვილი, ვახტანგ დადუნაშვილი, გოგი თანდილაშვილი (მწვრთნელი), ბექა წიკლაური, უჩა მეგრელიშვილი.

*რობერტ ბაჯოიანის ფოტო*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული პლანეტა

## მარათონი

**ამ დღეებში გამართული რამდენიმე მარათონის კვარცხლბეკი უმეტესწილად კენიელებმა დაიკავეს.**

**როტერდამი.** ***ვაჟები:*** 1. ჯოზეფატ კიპრონო (კენია) — 2:06.50. 2. კენეტ კერიუოტი (კენია) — 2:07.18, 3, სემი კორირი (კენია) — 2:08,15. ***ქალები:*** 1. სიუზან კეპკემეი (კენია) — 2:25.45. 2. მასაკო კოიდე (იაპონია) — 2:28.28. 3. ნადია ვიენბერგი (ჰოლანდია) — 2:30,27.



*სიუზან კეპკემეი*

**ჰამბურგი.** ***ვაჟები:*** 1. ხულიო რეი (ესპანეთი) — 2:07.46, 2. ჰავიერ კორტესი (ესპანეთი) — 2:07.48, 3. საიმონ ლოპუიე (კენია) — 2:11.04. ***ქალები:*** 1. სონია ობერემი (გერმანია) — 2:26.12, 2. ლუმინიტა ზაიტუკი (გერმანია) — 2:28.44, 3. კატრინ ვესელი (გერმანია) — 2:29.42.

**ნახევარმარათონი. ნიცა**

***ვაჟები:*** 1. პიტერ კებეტი (კენია) — 1:01,32, 2. ნოა ბორი (კენია) — 1:02.21, 3. ენტონი კორირი (კენია) — 1:02.22. ***ქალები:*** 1. ედიტ მასაი (კენია) — 1:07.53, 2. იზაბელა უშიში (კენია) — 1:8,38, 3. მარგარეტ ოკაიო (კენია) — 1:09.48.

**ლონდონი.** ***ვაჟები:*** 1. აბდელკადერ ელ-მოაზისი (მაროკო) — 2:07.11, 2. პოლ ტერმატი (კენია) — 2:08.15, 3. [ა]ნტონიო პინტუ (პორტუგალია) [—2:]09.36 ***ქალები:*** 1. დერარტ[უ ტ]ულუ (ეთიოპია) — 2:23.57, 2. [ს]ვეტლანა ზახაროვა (რუსეთი) — 2:24.04, 3. ლიდია სიმონი (რუმინეთი) — 2:24,15...

## ჩოგბურთი

ვინც თვალს ადევნებდა ამერიკის ქალაქ ჩარლსტონში მიმდინარე ქალთა ტურნირს (Faimily Circle Cup), დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ ასპარეზობასაც შვეიცარიელი ჩოგბურთელი მოიგებდა, მაგრამ ყველაფერი ამერიკელმა ჯენიფერ კაპრიატიმ არია — მან მარტინა ჰინგისი ფინალში დაამარცხა ანგარიშით 6:0, 4:6, 6:4.



*მარტინა ამჯერად დამარცხდა*

ბუდაპეშტი. კვირას ბუდაპეშტში დასრულებულ ქალთა ტურნირში გამარჯვება მოიპოვა ბულგარელმა ვეტერანმა ჩოგბურთელმა მაგდალენა მალეევამ, რომელმაც ფინალში სძლია ლუქსემბურგელ ანე კრემერს — 3:6, 6:2, 6:4.

## ნბა

ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ გათამაშებაში პლეი-ოფების პირველი რაუნდის სერიები დაიწყო. „ნიუ-იორკმა“ შინ „ტორონტო“ დაამარცხა 92:85 და სერიაში წაიყვანა ანგარიშით 1-0. „ნიქსმა“ გამარჯვება მოიპოვა პირველ რიგში იმით, რომ თამაშიდან გამოთიშა მოწინააღმდეგის მთავარი დამრტყმელი ძალა ვინს კარტერი.

***სხვა მატჩები:*** მილუოკი-ორლანდო 103:90, საკრამენტო - ფინიქსი 83:8[.], ლეიკერსი - პორტლენდი 106:93.

## ველოსპორტი

**მსოფლიო ველორბოლის მეოთხე ეტაპის „ლიეჟი — ბატონი — ლიეჟი“ 258-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად დაფარა შვეიცარიელმა ოსკარ კამენცინდმა — 6 საათი, 47 წუთი, 44 წამი. აღსანიშნავია, რომ იგივე შედეგი აჩვენა კიდევ ორმა მრბოლმა — იტალიელმა დავით რებელინმა და მისმა ესპანელმა სეხნიამ — ეჩევერიამ. გამარჯვებულები კვარცხლბეკზე განლაგდნენ მხოლოდ ფოტოფინიშის წყალობით.**



*ოსკარ კამენცინდი*

# ფრანგი კარუზო

*ნაწყვეტი ვაჟა ჩხაიძის წიგნიდან: „მრეტები“*

1988 წლის ზაფხულიც მიიწურა.

— ჩემო გიგლა, ახლა გუნდს მივხედოთ.

კლუბში ორი ახალი ჟიგული 08 ვიყიდეთ, ერთი ჩვენთვის, ერთი ნიკო დოლიძისთვის.

გავარდა ხმა. ათას ვინმეს უნდა მრეტებში თამაში. ათასი ვინმე მთხოვს აყვანას. ნაცნობი, უცნობი, სახელიანი თუ უსახელო.

მე კი ჩემები დიდი ხნის ნაპოვნი მყავს. მათ მინდორზე არ გაუმართლათ და ახლა დარბაზში უნდათ დაამტკიცონ თავიანთი პიროვნება.

ზოგი მათგანი წმინდა სპორტული ბუნებისაა, ზოგი სუფთა ქუჩისა: სვამს, ეწევა, ცუღლუტობს.

ამათი ერთ ქვაბში მოხარშვა არ გინდა? მე თუ შევკრებ, ყველა დარტყმა ჩემზე მოვა, უმჯობესია, თავად ვაპოვნინო ერთმანეთი.

— მე ფეხბურთში მოსული კაცი ვარ, შენ უფრო იცი...

და თვითონ პოულობენ ერთმანეთს.

ნელ-ნელა ვიკრიბებით.

მეკარე: გია ზარიძე.

მცველები: კობა ქორქიკაშვილი, გოჩა ჯოხაძე.

გოჩასთან წყვილში, ორი წლით ადრე, მე თავად მომიწია თამაში ქარიშხალაზე და ჰკუიდან გადამიყვანა.

უკან დაწეული შუა მოედანი: ზაზა გომართელი, ირაკლი გაბელაია, თემურ ფიჩხაია.

თემომ მრეტებსა და სამსახურს შორის უკანასკნელზე შეაჩერა არჩევანი და დატოვა მრეტები, თუმცა პირველ ტურნირზე მაინც დავუძახე.

თავდამსხმელები: ნიკო დოლიძე, აკა ქავთარაძე.

აკას არ გაუმართლა, ზედიზედ ორჯერ გაიწყვიტა კუნთი და დიდი ხნით ამოვარდა.

ამათ თავდამსხმელი მიხეილ ოჩერაშვილი და მეკარე მალხაზ ბერაია დაემატა. მათ ადრე არ ვიცნობდი.

ტურნირზე, ჯერჯერობით, არც ვფიქრობ.

ამ გუნდს მოხარშ[ვა] უნდ[ა]

[ს]ულ არ ესმით ჩემი ენ[ა,] რა მსურს, რას ვითხოვ მათგან. ესენი თავის დროზე ავტორიტეტს და ბრძანებას მიაჩვიეს და არა პიროვნულ პასუხისმგებლობას და დამოუკიდებელ აზროვნებას.

რეჟისორის თეატრი გაგრიალდა საქართველოში, მსახიობის თეატრი სულს ღაფავს...

ვართ, ვაგორებთ ბურთს, ვგლახაობთ.

ჰოდა, ამ გლახაობაში გუნდმა ერთ დღეს მოკრძალებით გამომიცხადა, პრეზიდენტი კარგი გვყავს და მთავარ მწვრთნელად ვინმე ხომ არ მოგვეწვიაო.

გიშველათ ღმერთმა, აქამდე სად იყავით-მეთქი და მსოფლიო ფეხბურთის სამწვრთნელო ისტორიაში ყველაზე გრძელი მონოლოგით ვუპასუხე. მაგრამ აკას თუ დავუჯერებთ, მთქნარება არ ყოფილა.

— კარგია, აი ეს მომწონს. ესე იგი, ეს მრეტებია და არა თოჯინების კლუბი. იმედი მაქვს თითოეულ თქვენგანს აქვს თავისი შეხედულება და მიუხედავად იმისა, რომ კაპიტანი ჯერ არ გყავთ, მაინც ერთ აზრამდე მისულხართ. სწორედ ამ დღეს ველოდებოდი. თქვენ, როგორც ჩანს, დაგავიწყდათ, რომ მე თეატრალური განათლება მაქვს. ამდენი კაცი ერთ აზრამდე როგორ მიხვედით? აი, რა მაინტერესებს მე. ეს რეჟისორის გარეშე არ არსებობს. სცენარის ავტორი და რეჟისორი ერთი და იგივე პიროვნებაა და იგი თქვენს შორისაა. ნუ შიშობთ, სახელს არ გკითხავთ, თუმცა, საეჭვოა, თქვენ მისი სახელი იცოდეთ. თქვენი კაპიტანი სხვების საშუალებით აკეთებს საქმეს. მაგრამ ახლა უკვე იცით, რომ იგი უეჭველად თქვენს შორისაა და ეცადეთ, იპოვნოთ იგი. მართალია, მისი სახელი არ იცით, მაგრამ დღეს გუნდის კაპიტანი დაიბადა. კაპიტანს გაუმარ-ჯოს! რა არის, რა სიჩუმეა?! კეთილი, გავაგრძელოთ... ახლა რომ გითხრათ, მე და ის კაპიტანი ერთი იდეის თანაზიარები ვართ-მეთქი, დამიჯერებთ? მართლაც და, სად გაქვთ გარანტია, რომ მე და ის თქვენი მომავალი კაპიტანი ტანდემში არ ვთამაშობთ?! ხედავთ, რას მეუბნება კაპიტანი? ამათი ერთ აზრამდე მიყვანა შესაძლებელიაო. ამათგან გუნდის გაკეთება შესაძლებელიაო. და, რაც მთავარია, ეს ორპირთა გუნდი არ გეგონოს, ეს ერთგულთა გუნდიაო. უბრალოდ, არ სჯერათ შენი მთავარი მწვრთნელობა და პირში გეუბნებიანო. ჯიგარი ხარ, კაპიტანო! დღეს სასურველი დღეა, ავუშვათ ღუზა და ღია ზღვაში... ძალიან მიხარია, პატრონი და პრეზიდენტი რომ მოგწონთ. თუმცა, ეს რა გასაკვირია?! მე ხომ თითქმის არაფერში ძალიან დიდ ფულს გიხდით?! აი, მთავარი მწვრთნელი კი არ მოგწონთ. თუმცა ერთად ჯერაც არ გვიცდია ბედი. მაგრამ არც ეს მიკვირს. მე ხომ ფეხბურთში მოსული კაცი ვარ და ისეთ რაღაცეებს ვითხოვ თქვენგან, რაც თქვენთვის ჩინურია და არც ადვილი გასაკეთებელი გახლავთ. ამიტომ ჩემი გაგდება და ისეთი მთავარი მწვრთნელის მოყვანა გადაგიწყვეტიათ, კოლექტიური ბურთის გორების გარდა სხვას რომ არაფერს მოგთხოვთ. ვხედავ, არ მეთანხმებით. თქვენს სახეებზე ჩანს, რომ არ მეთანხმებით. ხომ ასეა? რასაკვირველია, თქვენ პირიქით ფიქრობთ, თქვენ ნამდვილი მთავარი მწვრთნელი გნებავთ, რათა დიდ წ[არმა]ტებებს მიაღწიოთ. ასე არ არის? მიგიხვდით ხომ? ჰოდა, აი, რას გეტყვით, ჩემო კარგებო, მაგის პასუხად და ეცადეთ კარგად გაიგოთ და გაითავისოთ ჩემი საუბარი, რადგან მე თქვენთან კამათს არ ვაპირებ. ჯერ ინფორმაციისათვის გეტყვით, მრეტების ოთხივე მეპატრონე მეგობრები, ერთი იდეის თანაზიარები ვართ. მეპატრონეთა საბჭო კი მრეტების მმართველობის უმაღლესი ორგანოა. მრეტების მიმდინარე საქმეებს მეპატრონეთა მიერ არჩეული თავმჯდომარე და პრეზიდენტი, გიგლა და მე ვხელმძღვანელობთ. მრეტების გუნდის მთავარ მწვრთნელად მე ვარ დანიშნული შესაბამისი კონტრაქტით. მე კი, და ეს, ყველაზე მთავარია, ჩემი განწყობით, მეღვინე ვარ და არა მეჭურჭლე. ახლა კი საქმეზე გადავიდეთ.... თქვენ რომ გინდათ, ისეთი მთავარი მწვრთნელი ასჯერ გყავდათ უკვე და იქნებ ახლაც იპოვნოთ. ცხადია, მრეტებს გარეთ, მაგრამ მე მიპოვნით? მე ფეხბურთში მოსული კაცი ვარ-თქო, ვამბობ, მაგრამ აზრადაც არავის მოსდის, იკითხოს, საიდან ვარ მოსული და რა მიზნით? იქნებ იქ, საიდანაც მე მოვდივარ, შესანიშნავად იცნობენ ანდრო ჟორდანიას. საქართველოში ვისაც დიდი ფეხბურთი უთამაშია, თითქმის ყველა ანდრო ჟორდანიას მოყვანილი იყო ფეხბურთში და, მიუხედავად ამისა, მისი მტრები მას დაუფარავად აგდებენ ხოლმე მის მიერვე გაკეთებული გუნდიდან! იქნებ იქ, საიდანაც მე მოვდივარ, შესანიშნავად იცნობენ ნოდარ ახალკაცს? ნოდარ ახალკაცმა ნახევარსაუკუნოვანი ოცნება აუსრულა საქართველოს და მიუხედავად ამისა, მაინც გააგდეს მის მიერვე გაკეთებული გუნდიდან! თუმცა ანდრო ჟორდანიას მეხოტბე არასდროს ყოფილა. ნოდარ ახალკაცმა შესანიშნავად იცოდა მისი ისტორია და თავის გადასარჩენად დინამოს „ჩ“ სკოლა შექმნა. მაგრამ მისმა მტრებმა სწორედ ამ სკოლის მეთოდებით და მისივე ბიჭების საშუალებით გააგდეს გუნდიდან! მე, ჩემო კარგებო, საქართველოდან მოვდივარ, სადაც ყველაფერი ეს შესანიშნავად იციან, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი სხვაა... ვხედავ ჩემი საუბარი ნერვებს გიშლით, მაგრამ მაინც ვცადოთ და გავიხსენოთ, რას ვითხოვ მე თითოეული თქვენგანისგან? მხოლოდ იმას, რასაც დიდი ფრანგი ბორის პაიჭაძე მთელი ცხოვრება ქართულად ყვიროდა და მაინც არავის ესმოდა: აილე შენს თავზე! მაგრამ იცით რატომ არ ესმოდათ მისი? იმიტომ, რომ თავისი ფრანგობის მოფარება და მთავარი ფრანგული ანდაზის დამალვა სურდა! მაგრამ მე იგი ასე ადვილად ვერ გამაცურებს! აი რას ამბობს საიდუმლო ფრანგული ანდაზა: კურდღლის სუპისთვის კურდღლის ხორცია საჭიროო. გესმით?! შენს თავზე რომ აილო, ჯერ შენ უნდა იყოო! საკუთარი მეობა, დამოუკიდებელი სათამაშო აზრი, გრძნობა, ნება უნდა გქონდესო. ერთი სიტყვით, პიროვნება უნდა იყოო! პიროვნებას კი თავის დაცვის საშუალება უნდა ჰქონდეს, საკუთარი სახლი უნდა ჰქონდეს. თუ არ სურს მისგანაც სუპი გააკეთონ! სრულიად გულწრფელად გაგანდობთ ჩემს საიდუმლოს. მე, ჩემო კარგებო, სწორედ დიდ ფრანგს... რა ფეხბურთის კარუზო, რის კარუზო... კარუზო იტალიელია! ნახეთ, იმათაც აჭამა, იმათაც დაუმალა თავისი ფრანგობა! მაგრამ მე ვერ მაჭმევს! ჰოდა იმას ვამბობდი, მე, ჩემო კარგებო, სწორედ დიდ ფრანგს, ბორის პაიჭაძეს და საიდუმლო ფრანგულ ანდაზას დავუჯერე და ამ იდეის შესაფერისი გზა ავირჩიე. გადა[ვ]ყვიტე, ავილო ჩემს თავზე! ამიტომ, ჯერ ჩემს პიროვნებას მივხედე. ათასი ჯოჯოხეთი გავიარე და კიდევ უნდა გავიარო იქნებ. შემდეგ, როგორც მეპატრონემ, პროფესიული კერძო კლუბის სახით, ჩემი სახლი ავიშენე, სადაც, ვერც დღეს და მით უმეტეს, მომავალში, უბატონოდ ხმას ვერავინ გამცემს. შემდეგ ამ კლუბის პრეზიდენტი გავხდი. და მხოლოდ ამის შემდეგ, მთავარი მწვრთნელი. ახლა გესმით?! მე საკუთარი მეობა, დამოუკიდებელი აზრი, გრძნობა, ნება მაქვს! და ჩემი სახლი მიცავს! და ჩემს სახლს ვიცავ! თუ ვაჟა ფშაველა, თუ რუსთაველი არ წაგიკითხავთ, ამერიკულ ფილმებს მაინც არ უცქერთ?! უახლოეს მომავალში ყველა დარწმუნდება პიროვნული პასუხისმგებლობის და კერძო ფეხბურთის კლუბების აუცილებლობაში. ანდრო ჟორდანია და ნოდარ ახალკაცი პიროვნებები იყვნენ, მაგრამ სხვის სახლში იყვნენ, ყოველგვარი დაცვის გარეშე და იმიტომაც მიაბრძანებდნენ ხოლმე მათ იმ სახლიდან. მაგრამ ჩემს შემთხვევაში ეს უკვე ადვილი საქმე აღარ გახლავთ. ახლა წინ წავიდეთ. თუ ჩემი პიროვნების პატივისცემას მოვითხოვ, ამასვე ვაკეთებ სხვისი პიროვნების მიმართ. მე თუ ჩემი პიროვნების დაცვის უფლებას ვლებულობ, ეს უფლება ენიჭება სხვასაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე დიქტატორი ვიქნებოდი და მრეტების აშენების ნაცვლად, თოჯინების კლუბს გავაკეთებდი. მაგრამ მე მრეტებს ვაშენებ! დიახ, მე სხვებს იგივე უფლებებს ვანიჭებ, რასაც ჩემს თავს. თქვენ ქუჩიდან მოხვედით და მიუხედავად ამისა, არ მაინტერესებს თქვენი კულისები, რას აკეთებთ, რას სვამთ, რას ეწევით, რას ცუღლუტობთ. გუნდში არ გყავთ „ენები“. თუ არ მსურდა, ხომ არც მიგიღებდით?!

ხომ ნახეთ, რა ხალხს ვუთხარი უარი?! მე შენ მოედანზე გიცქერ და თუ რაიმე არ მომწონს, არ მაკმაყოფილებს, ასეთ შემთხვევაში, მრეტებსა და შენს შორის გაფორმებული კონტრაქტით მონიჭებული უფლებების ფარგლებში გელაპარაკები მხოლოდ. ამიტომაც წერია ამ კონტრაქტში ასე დაწვრილებით ყველაფერი. ამ კონტრაქტის პირობებზე კი მრეტები და თითოეული თქვენგანი წინასწარ შეთანხმდით და ხელიც მოაწერეთ მას. დასავლეთის ბევრი ცნობილი მოთამაშე თავის კონტრაქტს ხშირად [ხ]ურად წმინდა წერილს უწოდებს. ი[ც]ის, ეს კონტრაქტი იცავს მის პიროვნებას, მის დამოუკიდებელ აზრს, გრძნობას, ნებას. და ამ კონტრაქტის საფუძველზე სხვისი კლუბი მისი სახლი ხდება! ასევეა თქვენს შემთხვევაში! თქვენი კონტრაქტიც ამ პრინციპებზე შევადგინეთ. ასევეა კლუბის მწვრთნელის შემთხვევაში! ასევეა კლუბის პრეზიდენტის შემთხვევაში! ასევეა კლუბის ნებისმიერი თანამშრომლის შემთხვევაში! არა, ჩემო კარგებო, თქვენ ჯერ არ ხართ პროფესიონალები, თქვენ ჯერ კონტრაქტობანას, პროფესიონალობანას თამაშობთ მხოლოდ და ამაში წარმოუდგენლად დიდ ფულს იღებთ! თქვენ უნდა კარგად გაიცნობიეროთ, რომ მე კლუბის მიერ დანიშნული მთავარი მწვრთნელი ვარ და თქვენსავით მეც მაქვს კონტრაქტი. და ეს კონტრაქტი მეც ისევე მიცავს, როგორც თქვენ თქვენი კონტრაქტი. და ამ კონტრაქტს გარეთ აუგად ვერავინ გამიბედავს რამეს! ამდენად, თითოეული თქვენგანი ვალდებულია შეასრულოს მთავარი მწვრთნელის მოთხოვნები. და თუ თქვენის მხრივ ამ მოთხოვნების პატიოსნად შესრულების მიუხედავად, მთავარი მწვრთნელის კონტრაქტიც გათვალისწინებულ წარმატებებს ვერ მოუტანს კლუბს, ასეთ შემთხვევაში, მას კლუბი კონტრაქტის პირობების შესაბამისად გაათავისუფლებს და მის ნაცვლად სხვას მოიწვევს. ახლა კვლავ წინ წასვლა ვცადოთ. ეს თქვენ მოხვედით მრეტებში და არა პირიქით! და თითოეულმა თქვენგანმა ერთი უნდა გაიცნობიეროს კარგად: მრეტების ენა უნდა ისწავლოს. მე მრეტების ენასთან ერთად, თქვენი ენაც ვიცი, მაგრამ თქვენ არ იცით მრეტების ენა. თქვენი ენა კი არ იძლევა იმის მოტანის საშუალებას, რაც მე თქვენთვის მაქვს მოსატანი. მოსატანი კი ნამდვილად მაქვს და ამაში, ადრე თუ გვიან, დარწმუნდებით. თქვენ რაც ფეხბურთში იცით, ის ყველამ იცის და ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რაც თქვენ მოედანზე შეგიძლიათ, მაგრამ არ იცით, რომ შეგიძლიათ და საპოვნელი გაქვთ! და როდესაც მას იპოვნით, შემდეგ ერთად თამაში შეძლოთ! აი ესაა მთავარი. ვიმეორებ, ვისაც მრეტებში თამაში უნდა, მრეტების [ე]ნა უნდა ისწავლოს! მრეტების სათამაშო პრინციპებში უნდა გაერკვეს! ამის გარეშე დამოუკიდებელი სათამაშო აზროვნება, ემოცია, ნება არ მოვა! ამის გარეშე პიროვნული პასუხისმგებლობა არ მოვა! ამის გარეშე ვარსკვლავი არ იბადება! აილე შენს თავზე! ეს მაგიური სიტყვა სხვა არაფერია, თუ არა პიროვნული უფლებების მონიჭების უკვდავი გამოხატულება ფეხბურთში! სამწუხაროდ, სწორედ ეს მოკვდა ქართულ ფეხბურთში... ალბათ, ყველას გახსოვთ, რა ხდებოდა თბილისის ქუჩებში 13 მაისს, თამაშის დამთავრების შემდეგ. გამარჯვების გოლი გახსოვთ? ბურთი აქვს დარასელიას! უბურთოდ ზღაპრულად თამაშობს კაკილაშვილი! დარასელია პირდაპირ შეაჭრა საჯარიმოში და... გოლი! განგების შეწევნით. მე თამაშის დამთავრების შემდეგაც ტელევიზორს ვუცქერდი და ერთდროულად სამი ბორის პაიჭაძე ვნახე: გამარჯვებით გახარებული ბორის პაიჭაძე, დარასელიას გოლით აღფრთოვანებული ბორის პაიჭაძე! ქართულ ფეხბურთში პიროვნული პასუხისმგებლობის ჩაკვლით შეწუხებული ბორის პაიჭაძე! დიახ, მას ამ გამარჯვების სიხარულზე მეტი თუ არა, ნაკლები წუხილი არ ჰქონდა ხმაში: „სულ ამას ვამბობ, აილე შენს თავზე! შედი ბურთიანად საჯარიმოში! ან გოლს შეაგდებ, ან პენალტი იქნება! აილე შენს თავზე!“ დიახ, ამას უპირველესი მრეტი ამბობს, ვისაც მარტოს შეეძლო მოწინააღმდეგის მთელი გუნდის მოტყუება და გოლის შეგდება! და იგი ამას, საჭიროების შემთხვევაში, ხუთ წუთში ორჯერ აკეთებდა! დიახ, ამას ბორის პაიჭაძე ამბობს, მაგრამ ეს უკვე აღარავის გესმით ამ პასი-პუსის ეპოქაში! დიახ, ჩემო კარგებო, მე მრეტებს ვაშენებ და არა თოჯინების კლუბს! და ვიდრე თქვენ იმას მიხვდებით, გულით მიხვდებით და არა ტვინით, თუ მრეტები რა არის, ბევრი წყალი ჩაივლის... მაგრამ ვინც ეს დღეს ვიცით და ვისაც ეს დღეს გვჯერა, გაგვატარეთ, ჩემო კარგებო...

სალამოს აკა ქავთარაძე მირეკავს წყნეთში, თავის გაწყვეტილ კუნთზე მელაპარაკება რაღაცას.

— არაუშავს, ჩემო აკა, ჯერ ყურებს მიაჩვევენ ყველაფერ ამას, მერე სხვებთან თავის მოსაწონებლად, ამ ენასაც ისწავლიან: რიტმი, პაუზა, იჩქარე წყნარად... მერე კი შესაძლოა ფეხბურთიც ითამაშონ...

— შენ ვინ ხარ, გაწყვეტილ კუნთზე გელაპარაკები...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა II ეტაპი V ტური

მიმოხილვა

I–VI ადგილები

# „ტორპედომ“ „ლოკომოტივის“ წინსვლა შეაფერხა

მთელი ჩემპიონატი გამოზომილი სვლით, ყოჩივით თავაწეული მიდიოდა წინ „ლოკომოტივი“. მტკიცედ უძლებდა ყველა შემოტევას, შემადგენლობისა თუ მწვრთნელთა ცვლილებას და ქართულ საფეხბურთო საზოგადოებრიობას ახალი ჩემპიონის გამოსავლენად ამზადებდა, მაგრამ ძირითადად ვეტერანების გამოცდილების იმედად მყოფმა გუნდმა პოზიციები დათმო, ძალამ და შემართებამ უმტყუნა რკინიგზელებს, მაშინ, როცა ბოლო ძალების მოკრება იყო საჭირო „ლოკომოტივი“ დამუხრუჭდა, პრინციპული მატჩი დათმო და ჩემპიონი წინ გაუშვა.

„ტორპედომ“, პირიქით, მეორე ეტაპზე დაიწყო გამოფხიზლება და იმდენი მოახერხა, პირველი წრე მაინც ერთპიროვნულ ლიდერად დაასრულა. ორივე გუნდში პრობლემები საკმაოა, მაგრამ ყოველივე, არც ქუთაისელებს, არც თბილისელებს არ ზღუდავს იმაში, რომ ეროვნულ ჩემპიონატში სხვებს საკუთარი უპირატესობა დაუმტკიცონ და სრულებითაც არ არის გასაკვირი ის, რომ სწორედ მათმა უშუალო შერკინებამ გამოავლინა საშუალედო ფინიშის პირველი გუნდი.

ჩემპიონატის კიდევ ერთი ფავორიტი (ასეთი შეფასება გადამეტებული სულაც არ არის) თბილისის „დინამო“ უცნაური გუნდის შთაბეჭდილებას სტოვებს. თუ გოლი არ გაუშვა, თბილისელები ისე თამაშს არ იწყებენ, ასე იყო ხუთივე მატჩში, ამის ნათელი მაგალითი გუნდის ბოლო ორი ტურის შეხვედრებია. „დინამოს“ ნორჩი შემადგენლობა ყოველ მატჩში კბილებით იბრძვის, შეცდომების მიუხედავად ხუთივე მეტოქეს და საკუთარ თავსაც უმტკიცებს, რომ ათგზის ჩემპიონის ფეხბურთელებს შესწევთ იმის ძალა, რომ კვლავ მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძოლონ, თუმცა, მეხუთე ტურში დაკარგულმა ორმა ქულამ გუნდს წინსვლის საშუალება არ მისცა.

თბილისურ-მცხეთურ „ვიტ ჯორჯიას“ სტაბილურობა აკლია. გუნდს უჭირს მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება, მაგრამ ალბათ უეფას ტურნირების საგზურისათვის კარნევალეს შეგირდები ჩემპიონატის ბოლომდე იბრძოლებენ.

ფოთის „კოლხეთმა“ შთამბეჭდავად დაწყებული დასკვნითი ეტაპის პირველი წრე ასევე შთამბეჭდავი გამარჯვებით დაასრულა, რითაც მეტოქეებს აგრძნობინა, რომ ლიდერებთან ქულათა სოლიდური სხვაობა მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს და ჩამოსაწერი გუნდი არ არის.

„მერანისადმი“ სიმპათიების მიუხედავად ძნელი წარმოსადგენია ფეხბურთელებისა და მათი ემოციური მწვრთნელის დიდმა მცდელობამ გუნდი მეექვსე ადგილიდან ზევით დასძრას. თუმცა უმჯობესია მოვლენებს წინ არ გავუსწროთ და ჩემპიონატის ფინიშს მივყვეთ.

მძაფრი ვნებები ტრიალებს ქვედა ექვსეულში. როგორც ველოდით, იქ თითოეული მატჩი, თითოეული ტური თითქმის კარდინალურად ცვლის სატურნირო ვითარებას. ერთადერთი გუნდი, რომელსაც თავი ქუდში აქვს, ბათუმის „დინამოა“, ზღვისპირელებმა მეოთხე და მეხუთე ტურში მოპოვებული ქულათა მაქსიმუმით მყარად დაიკავეს ჯგუფის ლიდერის პოზიცია. ბათუმელებისაგან განსხვავებით სტუდენტებმა წყალს გაატანეს პირველ ორ ტურში მოპოვებული ქულები, ზედიზედ სამი მატჩი წააგეს და ახლა ლიგაში დასარჩენად უმძაფრესი ბრძოლების გადატანა მოუწევთ.

მთლიანობაში გათამაშების ცხრილი თვალნათლივ გვიჩვენებს ვინ რისი მაქნისია. ახლა ჩემპიონატში ერთკვირიანი შესვენებაა და თითოეულ გუნდს სულისმოთქმის საშუალება მიეცემა. ჩემპიონატი არ დასრულებულა, მხოლოდ ფინიშს მიუახლოვდა.

საბა ლომინაძე

# ტექნიკური შედეგები

## ტორპედო — ლოკომოტივი 2–0

**ტორპედო:** ზოიძე, ლევან სილაგაძე, . აბრამიძე, თოდუა, ქემოკლიძე, კ. კვეტენაძე (ასათიანი, 51), გუჩუა, დიდავა, იონანიძე, აშვეთია, (მახვილაძე, 70), დ. ჯანაშია (იმედაძე, 46).
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, სალუქვაძე, ლაცაბიძე, ბაქრაძე (მანჯარაული, 89), ჭიჭვეიშვილი, ანჩაბაძე, დათვაძე, გოგიჩაიშვილი, გ. შენგელია (კაიდარაშვილი, 69).
***გოლები:*** 1-0, 2-0 ასათიანი (74, 86).
37-ე წუთზე გოგიჩაიშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი.
***გააფრთხილეს:*** თოდუა, სალუქვაძე, ბალაშვილი.
***მსაჯი:*** მ. მალაღურაძე (თბილისი).

## მერანი 91 — კოლხეთი 1913 2–4

*მატჩის შედეგი სფფ-მ არ დაამტკიცა.*
**მერანი:** ნაჭყუპია, ცქიფურიშვილი (მუხინი, 34), ჭინჭარაული, გუჯაბიძე, კოშკაძე, დევიძე, კვეკვესკირი, ხუჯაძე, ხუციშვილი (კრავეიშვილი, 70), გოდერძიშვილი (ქადაგიძე, 51), მინაშვილი.
**კოლხეთი:** ქვაჩახია, შალამბერიძე, ქუნთელია, კვირკველია, ჭანტურიძე, ღლანიძე (ვართაგავა,67), ტორჩინავა (შავგულიძე, 28), ხუჭუა (ბაჩილავა, 42), მ. ქობულაძე, მუმლაძე, ე. გვასალია.
***გოლები:*** 1-0, 2-0 დ. გოდერძიშვილი (26,28), 1-2, 2-2 შავგულიძე (35,47), 2-3 მუმლაძე (62), 2-4 ე. გვასალია (83).
***გააფრთხილეს:*** ნაჭყუპია, ბაჩილავა.
***მსაჯი:*** ა. მეშკოვი (თბილისი).

## გორდა — იბერია 2–1

**გორდა:** გუგუნავა, კედელაშვილი, ა. ბურნაძე, გელაძე, ზ. ლაბაძე (კიტეიშვილი, 61), თ. მეტრეველი, გ. მიქაძე, კ. ალადაშვილი, მელაძე, სოხაძე (ჯელაძე, 43), ლაშა სილაგაძე (ჯუღელი, 42).
**იბერია:** ცინაძე, ყურაშვილი, ნინუა, მიქელთაძე, ამისულაშვილი, გ. ნოზაძე (სანიკიძე, 69), ლ. ხმალაძე, ჩაჩუა, გულორდავა, კაკაშვილი (ლ. ვაშაკიძე, 87), გაგუა (სიამაშვილი, 80).
***გოლები:*** 0-1 ხმალაძე (30), 1-1 ჯუღელი (63, პ.), 2-1 კიტეიშვილი (67).
***გააფრთხილეს:*** ამისულაშვილი, მიქელთაძე, ხმალაძე, ნოზაძე, ალადაშვილი.
***მსაჯი:*** ა. კრიჭაშვილი (თბილისი).

## დინამო (ბთ) — თსუ 2–0

**დინამო:** ჭანტურია, მახარაძე (დარჩიძე, 46), ჩაჩუა, გველესიანი, მჟავანაძე, გელა ქორიძე, ღლონტი, ყულეჯიშვილი (აფხაზავა, 65), მაჭუტაძე, ტუღუში, ა. მუჯირი (რომანაძე, 84).
**თსუ:** სტურუა, ხარებავა, ბერიანიძე, ჯობავა, ბეროშვილი (ფირცხალაიშვილი, 85), დათუნაიშვილი, თ. მეტრეველი, მერებაშვილი (მამარდაშვილი, 90), ბ. ნოზაძე, ქერაშვილი, ლობჟანიძე (ინჯია, 90).
***გოლები:*** 1-0 ყულეჯიშვილი (18), 2-0 აფხაზავა (75).
53-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა მუჯირმა.
***გააფრთხილეს:*** ღლონტი, მჟავანაძე, დათუნაიშვილი, ხარებავა.
***მსაჯი:*** ა. შილაკაძე (თბილი ).

## სიონი — დილა 1–0

**სიონი:** ვოლკოვი, ირემაშვილი, მინდიაშვილი, სიდამონიძე, ბარნოვი, მოსეშვილი, ამბიძე, სოლოღაშვილი (კ. გოდერძიშვილი, 54), ისიანი, დავითაშვილი (კ. მეტრეველი, 70), გაბისონია.
**დილა:** ილურიძე, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი, ფეზუაშვილი, ჩიტაია, რევაზიშვილი (ერაძე, 30), თაყაძე, საყვარელიძე, 46), ეჯოშვილი (ლომიძე, 58), ხორგუაშვილი.
***გოლი:*** 1-0 ისიანი (28).
***გააფრთხილეს:*** სოლოღაშვილი.
***მსაჯი:*** ა. ორდინიძე (ონი).

## დინამო — ვიტ ჯორჯია 2–2

**დინამო:** ხაჩირაშვილი, სვანაძე, შაშიაშვილი, მაზიაშვილი, მანწკავა, იაგორაშვილი, ბურდული, მიკუჩაძე, ი. შენგელია (აფციაური, 71), ზირაქიშვილი, გიორგი მიქაძე (თუთარაშვილი, 78).
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, საჯაია, ჭანკოტაძე, ინწკირველი, დილმელაშვილი, ჯ. მუჯირი, გოგობერიშვილი, ლ. ნოზაძე (წუწუნავა, 83), გ. ყიფიანი, ადამია (ვ. გოჩაშვილი, 59), ლ. მელქაძე (გოცირიძე, 74).
***გოლები:*** 0-1, 0-2 მელქაძე (33,34), 1-2 ზირაქიშვილი (62), 2-2 მიკუჩაძე (87).
***გააფრთხილეს:*** მანწკავა, მუჯირი.
***მსაჯი:*** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

# სფფ-ს საგანგებო კომიტეტის განცხადება

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა გადაწყვიტა არ დაამტკიცოს XII ეროვნული ჩემპიონატის II ეტაპის V ტურის მატჩის თბილისის „მერანი-91“ — ფოთის „კოლხეთი-1913“ შედეგი 2-4, რადგან მატჩის მსვლელობისას არ იგრძნობოდა სპორტული სულიკვეთება ფეხბურთელთა მხრიდან და დაირღვა ფეარ-ფლეის პრინციპები. საგანგებო კომიტეტმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც დეტალურად გამოიძიებს ამ საკითხს და 3 მაისამდე წარუდგენს დასკვნას საგანგებო კომიტეტს.**

# ქართველი მსაჯები უელსში

სერგო კვარაცხელია, ლევან მიქელაძე, კობა გაბრიაძე და ალექსანდრე შილაკაძე 1 ივნისს უელსში ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩს გაუძღვებიან. ქართველ მსაჯთა ოთხეული უელს — პოლონეთის 21-წლამდელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს მოემსახურება.

# დავით პეტრიაშვილი დელეგატად ინგლისში მიიწვიეს

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე დავით პეტრიაშვილი 23 აპრილიდან 5 მაისამდე 16 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩების ოფიციალური დელეგატი იქნება. ტურნირს დიდი ბრიტანეთი უმასპინძლებს.**

# მეგობრები, მეგობრული ქვეყნიდან

*(პირველი გვერდიდან)*

სიტუაციაზეც ითქვა. საქართველოს ნაკრებიც სამ ფეხბურთელს მოისაკლისებს, ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ — ტორპედოელები — ირაკლი ზოიძე და სევასტი თოდუა, ვიტელი — ედიკ საჯაია.

***რევაზ ძოძუაშვილი:*** „ვარჯიშის დრო ფეხბურთელთა მეტი დასვენებისთვის შევცვალეთ და ამიტომ ვივარჯიშეთ ორი საათით ადრე. იმ ფეხბურთელებს, ვინც ნაკრებში თამაშზე უარი თქვეს, ვერ ავყვებით. ეს უფრო გალიზიანების ბრალია, პრეტენზია არავისთან გვაქვს, ჩვენ მდიდრები არ ვართ კარგი ფეხბურთელებით, არც ნაკრებიდან მოკვეთას ვუპირებთ ვინმეს. ძირითად გუნდს ცვლა უნდა ჰყავდეს, თანაც ფეხბურთელთა გამოძახების ლიმიტი უნდა გავითვალისწინოთ. მატჩი ამხანაგურია და ახალი ძალების შემოწმების საშუალებას გვაძლევს.“

***დავით ყიფიანი:*** „ფეხბურთელთა ულტიმატუმს ვერ მივიღებ, ნუ ვიქნებით კატეგორიულები. თავდამსხმელების რაოდენობით არ განისაზღვრება გუნდის შეტევითი პოტენცია. ვაღიაროთ, რომ რუმინეთმა გვაჯობა ტაქტიკურადაც, სისწრაფეშიც, ტექნიკაშიც, კონკრეტულ მატჩში ის გუნდი ჩვენზე ძლიერი იყო“.

***რევაზ ძოძუაშვილი:*** „ჩვენ, აუცილებელია საერთო ენა გამოვნახოთ, რუმინეთთან მარცხი მეკარისთვის არ დამიბრალებია, მას ვაგრძნობინე, რომ გუნდი, რომელშიც მუდმივად ითამაშებს, თვითონ უნდა ეძებოს“.

მწვრთნელებთან საუბარში მრავალი მტკივნეული საკითხი წამოიჭრა. იგრძნობოდა, რომ ჟურნალისტებსაც და მათაც საერთო შეხების წერტილი მრავლად ჰქონდათ და ჩანდა, ყველას საწუხარი და სატკივარი, ისევ და ისევ ეროვნული ნაკრები და მისი შედეგებია.

ახლა გავეცნოთ ორივე გუნდის დაზუსტებულ შემადგენლობას.

**საქართველო:** ***მეკარეები*** — გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), მირზა მერლანი (ვიტ ჯორჯია), ***მცველები*** — ლევან სილაგაძე, რევაზ ქემოკლიძე, ვალერი აბრამიძე (ყველა — ტორპედო), გიორგი ჭანკოტაძე (ვიტ ჯორჯია); ***ნახევარმცველები*** — ზურაბ ხიზანიშვილი (დანდი), ალექსანდრე რეხვიაშვილი (სკონტო), გიორგი გახოკიძე (პსვ), გიორგი ქინქლაძე (დერბი), თემურ ქეცბაია (ვულვზი), მალხაზ ასათიანი (ტორპედო), რატი ალექსიძე (ჩელსი); ***თავდამსხმელები*** — არჩილ არველაძე (კიოლნი), შოთა არველაძე (აიაქსი), ლევან მელქაძე (ვიტ ჯორჯია).

**ისრაელი:** ***მეკარეები*** — ნირ დავიდოვიჩი, შავიდ ელიმელეხი; ***მოთამაშეები*** — ქეისი ადორამი, შიმონ გერსონი, არიელ ბენადო, გადი ბრომერი, ამირ დოვ შელაჰი, იოსი ბენ იუნი, იანივ კატანი, ჰაიმე რევივო, ალონ მიზრახი, ვალედ ბადერი, დავიდ ბენ დაიანი, ორენ ზიტონი, ალონ ჰარაზი, ეიალ ბენ ამი. შეხვედრას ქართველი მსაჯები მოემსახურებიან — ***მთავარი მსაჯი*** სერგო კვარაცხელია, ***ასისტენტები*** — ლევან მიქელაძე, კობა გაბრიაძე, ***მეოთხე მსაჯი*** — ალექსანდრე შილაკაძე.

მიხეილ საბახტარიშვილი

# გათამაშების ცხრილები

## უმაღლესი ლიგა

პირველი წრის შემდეგ

*I–VI ადგილები*

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 34 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 33 |
| დინამო (თბ) | 5 | 1 | 4 | 0 | 7-6 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 26 |
| კოლხეთი-1913 | 5 | 3 | 0 | 2 | 9-6 | 25 |
| მერანი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-8 | 18 |

*VII–XII ადგილები*

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (ბთ) | 5 | 2 | 2 | 1 | 6-2 | 22 |
| გორდა | 5 | 3 | 0 | 2 | 8-6 | 18 |
| სიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-7 | 18 |
| დილა | 5 | 2 | 1 | 2 | 9-5 | 16 |
| თსუ | 5 | 2 | 0 | 3 | 5-9 | 16 |
| იბერია | 5 | 0 | 1 | 4 | 4-16 | 3 |

*შენიშვნა: სიონს დაკლებული აქვს 3 ქულა*



## I ლიგა. IV ტური

*I–VI ადგილები*

**სამგურალი — მეტალურგი 0-0**
**შუქურა — ცხინვალი 0-0**
**გურია-ლოკ2 — მილანი 1-0**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამგურალი | 4 | 2 | 2 | 0 | 4-0 | 28 |
| გურია-ლოკ2 | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 28 |
| მილანი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-3 | 27 |
| მეტალურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 25 |
| ცხინვალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 24 |
| შუქურა | 4 | 0 | 3 | 1 | 1-4 | 23 |

*VII–XII ადგილები*

**კოლხეთი (ხ) — ივერია 3-0**
**თორი — თბილისი 0-1**
**ოკეანე — დინამო (ზ) 3-0**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| თორი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-2 | 22 |
| კოლხეთი (ხ) | 4 | 2 | 1 | 1 | 5-2 | 20 |
| თბილისი | 4 | 3 | 0 | 1 | 4-2 | 18 |
| ოკეანე | 4 | 1 | 3 | 0 | 6-3 | 16 |
| ივერია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 12 |
| დინამო (ზ) | 4 | 0 | 0 | 4 | 0-10 | 12 |

*შენიშვნა: ზუგდიდის „დინამო“ მოიხსნა გათამაშებიდან.*

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## დემეტრაძე ესპანეთში კი თამაშობს, მაგრამ ლიდერობს... უკრაინაში

როგორც ცნობილია, გიორგი დემეტრაძე „რეალ-სოსიედადის" კუთვნილებაა, თუმცა ხანგრძლივმა ტრავმამ აშკარად გაუწყალა გული. ამასობაში იგი კვლავ ინარჩუნებს ერთ-ერთ პირველ ადგილს უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სიაში, სადაც მაინცდამაინც უხვგოლიანობით ვერავინ მოიწონებს თავს. ამაში თავად დარწმუნდებით: 17 ტურის შემდეგ, პირველ ადგილზეა ვორობეი დონეცკის „შახტიორიდან", რომელმაც 13 გოლი გაიტანა. 8-8 გოლით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ გიორგი დემეტრაძე (ადრე კიევში მიღწეული შედეგებით) და გეცკო (ჯერ „კრივბასში" თამაშობდა, ახლა კი მეტალისტში").

## მსაჯები სხვა ქვეყნიდან? – ძალიან კარგი!

სამხრეთამერიკული ფეხბურთის კონფედერაციამ (კონმებოლი) გადაწყვიტა მოიწვიოს მსაჯები სხვა კონტინენტებიდან, რომლებიც მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირს წაუძღვებიან. ასე მაგალითად, 25 აპრილს სან-პაულუში ბრაზილიისა და პერუს ნაკრებების მატჩს წარმართავს საუდის არაბეთის მსაჯთა ბრიგადა. კონფედერაციას მიაჩნია, რომ ურუგვაი-პარაგვაის ურთულესი მატჩი ძალიან კარგად იმსაჯა ესპანელმა მანუელ გარსია არანდამ. თვით მსაჯი კი ფიქრობს, რომ ასე არასოდეს გასჭირვებია.

## 40 ათასსაც გადაიხდიან და ფასებსაც იმატებს

მოსკოვის სტადიონ „ლუჟნიკის" დირექციამ 40 ათასი დოლარის გადახდა მოსთხოვა კლუბ „სპარტაკის" მესვეურებს. საქმე ის არის, რომ რუსეთის პირველობაზე მოსკოვის „სპარტაკისა" და ცსკას მატჩის დროს „სპარტაკის" ვაიგულშემატკივრებმა დიდი ზიანი მიაყენეს სტადიონს, უამრავი სკამი მოგლიჯეს და ბევრიც გატეხეს. ასეთი ზარალი „ლუჟნიკისათვის" კარგა ხანია არავის მიუყენებია.

გარდა ამისა, სტადიონის დირექცია ერთ საყურადღებო ღონისძიებასაც იღებს: „სპარტაკის" თამაშის მატჩებზე ბილეთების ფასი გაიზრდება.

## მეკარის გოლმა გადაარჩინა გუნდი

რაც იტალიის „სერია A" არსებობს, სულ აღინიშნა ორი შემთხვევა, როცა მეკარემ უშუალოდ თამაშიდან გაიტანა ბურთი. რაც შეეხება პენალტს, ასეთი 11 შემთხვევა იყო, როცა მეკარეებმა წარმატებით შეასრულეს ეს საჯარიმო.

1992 წლის თებერვალში მ. მიქელანჯელო რამპულამ (მაშინ „კრემონეზეში" თამაშობდა), გოლი გაუტანა „ატლანტას". სულ ცოტა ხნის წინათ ცნობილმა მეკარემ მასიმო ტაიბიმ („რეჯინაში" გამოდის) გადაინაცვლა „უდინეზეს" კარის სიახლოვეს, გაიტანა გოლი და იხსნა თავისიანები — 1-1.

## 5 მაისს საფრანგეთის ლიგის თასის ფინალია

5 მაისს პარიზის „სტად დე ფრანსზე" გაიმართება საფრანგეთის ლიგის თასის ფინალური მატჩი. ქვეყნის ექს-ჩემპიონ „მონაკოს", რომელსაც აშკარად მოეცარა ხელი საფრანგეთის მიმდინარე პირველობაზე, დაუპირისპირდება ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი „ლიონი".

## ორჯერ მეტს უხდიან

უკვე კარგა ხანია ცნობილია, რომ ახალი სეზონიდან ექტორ რაულ კუპერი აღარ გააგრძელებს მუშაობას „ვალენსიაში", სადაც ესოდენ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. ჯერჯერობით ნათელი არ არის, სად იმუშავებს ეს არგენტინელი სპეციალისტი, ისე კი, მიწვევა აქვს „ბარსელონადან".

უკვე ცნობილია, ვინ შეცვლის კუპერს „ვალენსიაში". ესაა მანე, რომელმაც ყურადღება მიიპყრო წლევანდელი მუშაობით ქ. ვიტორიის „ალავესში". იგი „ვალენსიაში" წელიწადში ერთ მილიონ დოლარს მიიღებს, ორჯერ მეტს, ვიდრე „ალავესში".

## წაუგებელი სერიაც ამას ჰქვია

მას შემდეგ, რაც ესპანეთის ნაკრებმა მსოფლიო პირველობის მეშვიდე ევროპულ ჯგუფში, როგორც მოსალოდნელიც იყო, ლიხტენშტაინის ნაკრებს იოლად სძლია 5-0, კიდევ უფრო გაიუმჯობესა თავისი ერთი მიღწევა — გააგრძელა წაუგებელი სერია მსოფლიო პირველობებზე საშინაო მატჩებში, რომელიც, თურმე ნუ იტყვით, ჯერ კიდევ 1934 წელს დაიწყო. ეს სერია 31 მოგებისაგან და 5 ფრესაგან შედგება!

## როცა ჩინელებმა აჯობეს ყაზანელებს

როცა ახლო წარსულში რუსეთის ნაკრების წამყვანმა ფეხბურთელმა ილია ციმბალარმა სხვადასხვა მიზეზის გამო მოსკოვის „ლოკომოტივი" დატოვა, მასთან მოლაპარაკება ჰქონდა ყაზანის „რუბინს". ამ კლუბს რუსეთის უმაღლეს დივიზიონში გადასვლის დიდი პრეტენზია აქვს.

ყაზანელებს აჯობა ჩინეთის ერთ-ერთმა კლუბმა და ციმბალართან მოლაპარაკებაც დაასრულა.

## პოლონეთის ფეხბურთის სახელოვანი ტრადიცია აღსდგა!

შესაძლოა, ეს ძალიან ხმამაღლა ნათქვამია, მაგრამ ბევრი ექსპერტის აზრით, პოლონეთის ფეხბურთის სახელოვანი ტრადიცია აღსდგა! ნაკრები ლიდერობს მსოფლიო პირველობის მეხუთე ევროპულ ჯგუფში (4 მოგება და 1 ფრე), ამასთან, უკლებლივ ყველა ფეხბურთელი ჩინებულად თამაშობს. ეს, რა თქმა უნდა, ეხება ნიგერიელ „პოლონელ" ოლისადებესაც, რომელმაც ორ ბოლო მატჩში ნორვეგიელებსა და სომხებთან 3 გოლი გაიტანა.

ასეთ წარმატებებს პოლონელი გულშემატკივრები ოცი წელია ელოდნენ.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# ბავშვთა ფეხბურთი

## გოჩა გურულიშვილის ხსოვნის ტურნირი

1991-92 წლების ცნობილმა მოვლენებმა არაერთი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის იყო პერსპექტიული, ნიჭიერი ფეხბურთელი, მოსწავლეთა შორის სსრ კავშირის ნაკრების წევრი გოჩა (გურულო) გურულიშვილი, მისი სახელი მიენიჭა შავნაბადა-თელეთის საფეხბურთო სკოლას, რომლის სტადიონზე ახლახან უდროოდ დაღუპული ამ ახალგაზრდის ხსოვნის ტურნირი გაიმართა. თავი მოიყარეს რუსთავის, ვარკეთილის, ტაბახმელას, ბორჩალოს, ნახიდურის, სპორტსაზოგადოება „შევარდენის" (2) გუნდებმა. ორი გუნდით იყვნენ წარმოდგენილი აგრეთვე მასპინძლები.

ტურნირში 1990-91 წლებში დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობდნენ. ტრადიციულად, ამიერიდან, სწორედ 10-11 წლის ნორჩი ფეხბურთელებისთვის გაიმართება ეს ასპარეზობა, გაისად კი მოსკოვის, კიევის, აზერბაიჯანის და სომხეთის გუნდების მოწვევასაც ვარაუდობენ.

ტურნირი მოიგო მასპინძელთა გუნდმა „შავნაბადა-თელეთი-XXI საუკუნე" (მწვრთნელები გივი ბუაძე, გივი გურულიშვილი), მეორე ადგილზე გავიდა „შევარდენი-1" (მწვრთნელი სოსო კირთაძე), მესამეზე „XXI საუკუნე" (მწვრთნელი ნოდარ ლეჟავა). ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანეს გარდაბნის რაიონის გამგებელმა ნუგზარ ფერიაშვილმა და განათლების განყოფილების გამგემ თენგიზ თუმანიშვილმა, თელეთის გამგებელმა დავით მახნიაშვილმა, ტაბახმელის გამგებელმა თეიმურაზ ფიქრიშვილმა, ტურნირის ორგანიზატორმა „შავნაბადა-თელეთის" საფეხბურთო სკოლის დირექტორმა, გ. გურულიშვილის მამამ გივი გურულიშვილმა.

რჩეულ მოთამაშეებს გადაეცათ სპეციალური პრიზები: მეკარისა — სანდრო დვარელს („XXI საუკუნე"), ნახევარმცველისა — ლაშა ხორბალაძეს („შევარდენი-1"), თავდამსხმელისა — ირაკლი ლეჟავას („XXI საუკუნე"), ბომბარდირისა — თორნიკე გურულიშვილს, საუკეთესო გოლის გამტანისა — გიორგი გურულიშვილს (ორივე — „შავნაბადა-თელეთი", ორივე — „გურულოს" ვაჟიშვილია), საუკეთესო №10 ფეხბურთელისა — ზურაბ გიუაშვილს („შევარდენი"), ყველაზე ტექნიკური მოთამაშისა — გიორგი რობაქიძეს (რუსთავი), ყველაზე უმცროსი მონაწილისა — გიორგი ტაბატაძეს, პერსპექტიულისა — ტუხო შერმაზანაშვილს (ორივე — „ბეგა", ტაბახმელა), რამაზ ზარნაძეს („შავნაბადა", თელეთი), გიორგი დარბაიძეს (რუსთავი), გიორგი შეყრილაძეს (ვარკეთილი) და რომან ფარეშიშვილს („შევარდენი-1").

რობერტ ბაგოიანის ფოტოები



I ადგილი. „XXI საუკუნე – „შავნაბადა" (თელეთი). მარცხნიდან I რიგში: გ. ჩაჩანოვი, ლ. გიორგაძე, გ. ლაბაძე, გ. ქურდაძე, გ. ბოსიკაშვილი, ა. ხუნდაძე, გ. გურულიშვილი, ვ. ხუდოიანი, ლ. დემეტრაშვილი, ო. კიკალეიშვილი, თ. გურულიშვილი; II რიგში: ო. ავალიანი, გ. ჯაკობია, ლ. ჯაკობია, ნ. იმერლიშვილი, დ. ბაიდაშვილი; III რიგში: მ. ძებისაშვილი, დ. მარტაშვილი, ა. შეყილაძე, მ. დვალიშვილი, შ. გურწიშვილი, ლ. ქურდაძე, ზ. კანტროშვილი, გ. შეთეკაური, ნ. რუსო, გ. ზარნაძე, ვ. ქველაძე, მ. კაპანაძე, ზ. ბასილაშვილი; IV რიგში: გ. გურულიშვილი (სკოლის დირექტორი), გ. გოგიშვილი, რობერტ ჭანჭალეიშვილი, გიორგი ბუაძე (ორივე – მწვრთნელი), გივი ბუაძე (უფროსი მწვრთნელი).

„შევარდენი" (II და IV ადგილზე გასულნი). მარცხნიდან (I რიგში): ზ. არჩილია, გ. ჟღენტი, ვ. გორგიშვილი, გ. მახარაშვილი, ლ. ხაჩიძე, ვ. გიორგაშვილი, ჩ. ფარეშიშვილი, ლ. ხორბალაძე, რ. ნატროშვილი, მ. მიგრიაული. ა. ყარაულაშვილი, ლ. ხოთვაძე, ნ. ციფურაშვილი, დგანან: გ. გავაშელიშვილი, გ. ჭუაძე, ზ. გიუაშვილი, გ. ბალიაშვილი, ჯ. გაბიცინაშვილი, ბ. მანწკავა, ლ. ხარჩილავა, ლ. სიმონიშვილი, ი. წიქარიშვილი, გ. ასიტაშვილი, გ. გოგიაშვილი, ლ. კაკაურიძე, ს. ჯიგოშვილი, მწვრთნელი – სოსო კირთაძე.





„XXI საუკუნე". III ადგილი. მარცხნიდან (I რიგში): ი. ავალიანი, ი. ლეჟავა, ს. დგვარელი, გ. პაქსაშვილი, გ. ტრაპაიძე; დგანან: ი. პეტუნაშვილი, ე. მარგალიტაძე, გ. გიორგაძე, ნ. ლეჟავა (მწვრთნელი), ი. ნაცვლიშვილი, ზ. დადაჰავა, ს. სხირტლაძე.



რობერტ ბაგოიანის ფოტო

ფეხბურთი – ყველასათვის!

## და იყო ხელოვნების და სპორტის ზეიმი სპორტის სასახლეში

მსახიობების საფეხბურთო მატჩები ჩვენში ტრადიციულად იმართებოდა და მუდამ იწვევდა საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს. ყოფილა იმპროვიზებული მატჩებიც თბილისის სპორტის სასახლეში. ახლა სწორედ ეს ტრადიცია გაიხსენეს და მაყურებლით სავსე სასახლის არენაზე კვლავ გამოჩნდნენ ჩვენი თეატრების ძველი თუ ახალი თაობის წარმომადგენლები, კვლავ ვიხილეთ სცენის უბერებელ ოსტატთა საფეხბურთო ხელოვნება. ლამაზი საფეხბურთო სპექტაკლის მთავარი მიზანი, ცხადია, სპორტული შედეგი არ ყოფილა – გამარჯვებული და გამხიარულებული დარჩა ყველა, რალა თქმა უნდა, ვით მსახიობებიც, რომლებიც ერთ „სპექტაკლში" იშვიათად არასდროს ხვდებიან ერთმანეთს, ფეხბურთმა შეახვედრა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. XXXI ტური

